www.lsgeorgia.com

LANGUAGE SCHOOL LS

Workbook II

Biliki Workbook II follows the grammar and vocabulary lessons introduced in the Student's Book, providing 240 stimulating exercises (an answer key is included) that reinforce the material learned and rapidly promote speaking and comprehension.

The Biliki Grammar and Vocabulary Workbook consolidates the structures and vocabulary in the Student's Book. It contains a variety of stimulating exercises including extensive grammar revision, vocabulary building and both guided and creative writing activities. With its clear layout and simple instructions, the students will find the book motivating and easy to use.

Components

Biliki is a multi-level course designed to take students from their first introduction to Georgian up to a fully proficient use of the language.

Biliki II provides stimulating input and encourage discussion, making learning interesting and relevant to today's world. The clear organization with each lesson means the Book is easy and enjoyable to use.

Student's Book

Biliki II offers unique choice flexibility in teaching and learning Georgian. The 16 chapters and 4 Progress checks of the Student's Book provide a core syllabus of a minimum of 60 hours work. The Resource Packs contain optional communicative activities linked to the Student's book, Which can be used to supplement lessons, revise specific language and structures, and provide variety in class.

Student's Book CD

This contains all the listening and sounds work provided in the Student's Book.

Nana Shavtvaladze

Level II

ბილიკი

Workbook II

ნანა შავთვალაძე
Nana Shavtvaladze

ბილიკი

სამუშაო რვეული

II Level

Workbook

ნანა შავთვალაძე
Nana Shavtvaladze

ბილიკი

სამუშაო რვეული
II დონე

თბილისი
2011

Author: Nana Shavtvaladze is the director of the **Language School,** which is located in Tbilisi, Georgia. Language School offers classes in Georgian and Russian for expatriate students. Nana holds a PhD in linguistics from Tbilisi State Universitys. In addition to teaching, she has authored more than twentythree academic articles and 10 previous books on the Georgian language. Nana lives in Tbilisi with her husband and three children.

Author's Acknowledgements
I am very grateful to everyone who has contributed to **Workboook (Level II)**. My thanks to:

- Nino Sharashenidze for taking over as editor so calmly and effectively;
- Tamta Tabukashvili - cover and book designer;
- All the "Language School" teachers who piloted the material;
- Irma Miminoshvili computer manager.

First edition 2011

© ნანა შავთვალაძე, № 4398, თბილისი, საქართველო
სამუშაო რვეული II

© Nana Shavtvaladze, # 4398, Tbilisi, Georgia
Workbook II, Reading Material

ენის სკოლა, თბილისი, საქართველო
Language School, Tbilisi, Georgia

სერია – ბილიკი, სამუშაო რვეული (დონე II)
Seria – Biliki, Workbook (Level II)

სარჩევი

ნაწილი I (კარი 1-4) 4
ნაწილი II (კარი 5-8) 42
ნაწილი III (კარი 9-12) 99
ნაწილი IV (კარი 13-16) 167
პასუხები 226

ნაწილი I

სავარჯიშო 1.
დაწერეთ წინადადებები present perfect დროში:
ნიმუში: –ჩვენ ვისწავლით ამ ახალი წიგნიდან!

—ჩვენ **გვისწავლია** ამ ახალი წიგნიდან!—

1. –ჩვენი იტალიელი სტუდენტები უნივერსიტეტს ათვალიერებენ.
_____
2. –გუდაურში ახალი სასტუმროები ააშენეს!
_____
3. –დაკავებული ვიყავი, ბებიაჩემი ამიტომ ვერ ვნახე!
_____
4. –გაზაფხულის მშვენიერი ამინდი იყო და ვსეირნობდით!
_____
5. –ტაქსის მძღოლი მარჯვნივ უხვევდა!
_____
6. –ყველა მეზობელი ერთად სვამდა.
_____
7. –გუშინწინ ნიკამ ბევრი იმუშავა და ახალი ტესტი დაწერა.
_____
8. –აქ ადგილობრივი მცხოვრები ავტობუსით მგზავრობს.
_____
9. –ჩემმა თანამშრომელმა სადილის ფული გადაიხადა.
_____
10. –საბამ და ლაშამ ტანსაცმლის კარადა დაალაგეს.
_____

სავარჯიშო 2.
დაასრულეთ წინადადებები:
ნიმუში: –რატომ აუთოვებთ? (უნდა)
—იმიტომ, რომ მე **მინდა უთაობა!**—

1. –რატომ **ალაგებს** თიკა ყოველდღე სახლს? (უნდა)
–იმიტომ, რომ მას _____

2. –რატომ **რეცხავთ** მანქანას? (შეუძლია)
–იმიტომ, რომ მე _____
3. –რატომ **ურეკავთ** თქვენს შვილს ყოველ საღამოს? (უყვარს)
–იმიტომ, რომ მე _____
4. –რატომ **აფასებენ** ამ ტრადიციას საქართველოში? (მოსწონს)
–იმიტომ, რომ მათ _____
5. –რატომ **ეძებს** ნიკა ახალ საქმეს? (მოსწონს)
–იმიტომ, რომ მას _____
6. –რატომ **აგროვებენ** ტანსაცმელს? (უხარია)
–იმიტომ, რომ მათ _____
7. –რატომ **უვლით** იმ შვილს? (უნდა)
–იმიტომ, რომ მე _____
8. –რატომ არ **აუთოვებენ** პერანგებს? (მოსწონს)
–იმიტომ, რომ მათ _____
9. –რატომ **წერთ** წიგნებს? (უნდა)
–იმიტომ, რომ მე _____
10. –რატომ **არიან** აქ თანამშრომლები? (უნდა)
–იმიტომ, რომ მათ _____

სავარჯიშო 3.
დააბოლოვეთ სწორად:
ნიმუში: –ლიკა**ს** ფრენბურთ**ი** უთამაშია.

№	სუბიექტი	ობიექტი	ზმნა
1.	მზარეულ—	სადილ—	მოუმზადებია
2.	ბებო—	პერანგ—	გაუუთოვებია
3.	ძიძა—	ბევრ—	უფიქრია
4.	სტუმარ—	ოთახ—	დაულაგებია
5.	მმართველ—	მუშაობა—	დაუფასებია
6.	მამა—	ფულ—	გადაუხდია
7.	მეზობლებ—	ქურთუკებ—	შეუგროვებიათ
8.	ნატა—	ბეჭედ—	უპოვია
9.	მსახიობ—	გამოფენა—	უნახავს
10.	დამლაგებელ—	შარვალ—	გაურეცხავს

სავარჯიშო 4.

სწორ ფორმას გაუსვით ხაზი:

ნიმუში: ქალბატონმა ნინომ თქვენ/**თქვენი** სახლი კარგად დაალაგა.

1. ის/მან თავისი მეორე სახლი დაალაგა.
2. მათ/მათი ტელეფონი არ აქვთ და ვერ რეკავენ.
3. ისინი/მათ პატარა ბავშვებისთვის მოუვლიათ.
4. ჩვენ/ჩვენი მათ პერანგებს არასოდეს ვაუთოვებთ!
5. თქვენ/თქვენი გადაიხადეთ გაზის ფული?
6. მათ/მას ბევრი ტანსაცმელი შეუგროვებიათ.
7. შენი/შენ ნამდვილად დააფასე ის უნივერსიტეტი!
8. მას/მან ბაზარში ოქროს ბეჭედი იპოვა.
9. ჩვენ/ჩვენი ბურთი არ გვითამაშია.
10. ის/მისი ყოველთვის თავის ტყავის ჩანთას ეძებს.

სავარჯიშო 5.

ჩასვით ზმნა to be present perfect დროში:

ნიმუში: –ის მშვენიერი გოგოა.
–ის მშვენიერი გოგო **ყოფილა.**

1. მისი ახალი შარვალი ოთახში იყო და თვითონ ჩვენთან ერთად ძველი შარვლით მოვიდა.

_____

2. იქ უჩვეულო ვერტმფრენია.

_____

3. ნინოს ქვედაბოლო დაპატარავებულია.

_____

4. ნანა და ლიკა ყურადღებიანი გოგოები არიან.

_____

5. თქვენ, დაკავებული იქნებით?!

_____

6. ის არაჩვეულებრივი თავსაფარია.

_____

7. ის განთქმული მონასტერია და იყავი იქ?

_____

8. ჩვენი მეგობრები იქ არიან და ის საქმე გაკეთებულია.

_____

9. არ ვიცოდი, გადასახადი ძალიან მაღალია.

_____

10. ცისფერი პერანგი მათთვის საუკეთესო საჩუქარია!

_____

სავარჯიშო 6.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: – იმ ბიჭებს მანქანის **რეცხვა** არ მოსწონთ.
– ის ბიჭები მანქანას **არ რეცხავენ**.

1. მე ვერტმფრენით **ფრენა** არ მომწონს.

_____

2. მათ იმ შესანიშნავი კულტურის **მოვლა** არ უნდათ.

_____

3. ყურადღებიან თანამშრომელს **დარეკვა** არ უნდა?!

_____

4. მათ ძველი წიგნების **შეგროვება** არ უნდათ.

_____

5. ნინოს რუკაზე ქვეყნების **მოძებნა** არ მოსწონს.

_____

6. მათ შარვლების **გაუთოვება** არ უნდათ.

_____

7. მას ყოველთვის არ უნდა კარგი საქმის **დაფასება**.

_____

8. მათ სასტუმროში ფულის **გადახდა** არ მოსწონთ.

_____

9. პატარა გოგოს ბურთის **რეცხვა** არ მოსწონს.

_____

10. ლაშას თავისი ოთახის **დალაგება** არ მოსწონს.

_____

სავარჯიშო 7.

ჩასვით სახელის ნაცვლად პირის ნაცვალსახელები:

ნიმუში: –ნინოს **(—მას—)** ატმის წვენი უყიდია!

1. ბიჭებს (———) ფეხბურთი უთამაშიათ.

2. ბებიას (———) გემრიელი სადილი მოუმზადებია.
3. ნანას და მაიას (———) ბევრი უსეირნიათ შაორის ტბაზე.
4. მამაჩემს (———) ახალგაზრდობაში გაგრაში შესანიშნავი დრო გაუტარებია.
5. შეხვედრისთვის მმართველს (———) სიტყვა დაუწერია.
6. ნიას (———) სახლი სულ დაულაგებია.
7. მას და გოგოებს (———) ინდაურის ხორცი შეუჭამიათ.
8. კონცერტზე მომღერლებს (———) ბევრი უმღერიათ.
9. მაკას (———) თავისი ძმისთვის შარვალი გაუუთოვებია.
10. მე და ჩემს დებს (———) ამერიკაში ჩვენს ბიძაშვილთან ხშირად დაგვირეკავს.

სავარჯიშო 8.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: –როგორ ფიქრობ, ეს მარკები შევაგროვო?
–არ შეაგროვო!

1. –იცი რა, ამ ფისოს მოვუარო?
_____
2. –რას ფიქრობ, მოვძებნო შენი პასპორტი?
_____
3. –მამა, გინდა ვიპოვო ძველი ფოტოები?
_____
4. –ბატონო საბა, აქ ფული მე გადავიხადო?!
_____
5. –ნინი, შენი ბლუზა ახლა გავაუთოვო თუ ხვალ?
_____
6. –მაპატიეთ, შეიძლება დავრეკო მშობლებთან?
_____
7. –რუსო და ნანა, დავალაგო თქვენი ოფისი?
_____
8. –მასწავლებელო, შევაგროვო დოკუმენტები?
_____
9. –გოგოებო, ეს თავსაფარი ჭუჭყიანია, გავრეცხო?
_____
10. –ქალბატონო მაია, გზა მარჯვნივ გავაგრძელო?
_____

სავარჯიშო 9.

აღნიშნეთ რომელია სწორი ფორმა:

ნიმუში: მათ კომპუტერში არაფერი ——ა——!
ა. დაუწერიათ ბ. წერდნენ გ. წერენ

1. დედაჩემმა ჭიქები და თეფშები უკვე ———.
ა. გაურეცხავს ბ. გარეცხავს გ. გარეცხა
2. ყურადღებიან მენეჯერს ბანკში ფული ———.
ა. იხდის ბ. გადაუხდია გ. გადაიხდის
3. ნანას ქმრისთვის ახალი შარვლები ———.
ა. აუთოვებს ბ. აუთოვებდა გ. გაუუთოებია
4. სახლში ვიქნებით და როცა იას უნდა, ———.
ა. დარეკოს ბ. დარეკა გ. რეკავდა
5. საავადმყოფოში ავადმყოფებისთვის მშვენივრად ——.
ა. მოუვლიათ ბ. უვლიდნენ გ. უვლიან
6. მათ პარლამენტის ახალი შენობა ჯერ არ ———.
ა. დაალაგებენ ბ. ალაგებენ გ. დაულაგებიათ
7. გიგიმ ტანსაცმლის კარადაში თავისი სათამაშო მანქანა ———.
ა. უპოვია ბ. იპოვის გ. იპოვა
8. პოლიციას პატარა ბავშვი პარკებსა და ქუჩებში ——.
ა. ეძებდა ბ. ეძებოს გ. მოუძებნია
9. მინდორში გოგოებს ნაირ-ნაირი ყვავილი ———.
ა. აგროვებენ ბ. შეუგროვებიათ გ. შეაგროვეს
10. ყველა მეზობელმა რამაზის მუშაობა ნამდვილად ——.
ა. დააფასა ბ. აფასებს გ. დააფასებს.

სავარჯიშო 10.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: – მათ შვილებს კითხვა არ მოსწონთ.
– მათ შვილებს კითხვა არ **მოსწონდათ.**

1. მე ის შალის აგურისფერი სვიტერი მომწონს.
_____
2. ამ სტუდენტებს ფრენბურთის თამაში უნდათ.
_____
3. მის დას მისი დაგრძელებული თმა უხარია.
_____

4. აქედან ჩვენ შეგვიძლია ინდოეთში დარეკვა.

_____

5. მას ეს ინფორმაცია ტყუილი ჰგონია.

_____

6. თათუთას ავსტრალიაში ლეკვი ჰყავს.

_____

7. მათ გრძელი დასვენება ძალიან უხარიათ.

_____

8. სამწუხაროდ, ჩვენ საშინელი ამბავი გვაქვს!

_____

9. მათ განთქმული ხინკლის მომზადება მოსწონთ.

_____

10. ჩვენ გვგონია, უკვე შევთანხმდით?!

_____

სავარჯიშო 11.

აღნიშნეთ, რომელია სწორი ფორმა:

ნიმუში: ისინი ჩვენთან არასდროს ყოფილან/იყვნენ/იქნებიან არიან.

1. იქაური ამბები ძალიან საინტერესოა და, სამწუხაროდ, მე ჯერ კიდევ აქ უნდა ვარ/ვიქნები/ვიყო/ვყოფილვარ
2. ნანას და მაიას აფრიკაში გატარებულ დროზე ბევრი ფიქრობენ/ფიქრობდნენ/იფიქრებენ/უფიქრიათ
3. ქართველმა ხალხმა მსახიობი, ვერიკო ანჯაფარიძე, ძალიან აფასებს/დაუფასებია/დააფასებს/დააფასა
4. არ ვიყავი სახლში და ჩემს მეგობარს ამერიკიდან დარეკა/დაურეკავს/დარეკავს/რეკავდა
5. ბებიაჩემს დაპატარავებული პალტო ძველ კარადაში იპოვა/იპოვის/იპოვოს/უპოვია
6. ჩემი მეზობლის რვა წლის ბიჭი ძველ ფულებს აგროვებს/უგროვებია/შეაგროვა/შეაგროვოს
7. პარასკევს ბაბუას შვილიშვილები მუსიკაზე მიაქვს/მიჰყავს/მიაქვთ/მიჰყავთ
8. დაბადების დღეზე საჩუქრად საწერი მაგიდა მივიღებ/ვიღებდი/მივიღე/ვიღებ

9. „ყაზბეგი განთქმულია ხინკლით!"–ქართველი ხალხი თქვა/თქვას/უთქვამს/ამბობს
10. მე წიგნების კარადაში ჩემი ბავშვობის წიგნი ვპოულობ/ვპოულობდი/ვიპოვე/ვიპოვი

სავარჯიშო 12.

დაწერეთ წინადადებები უწყვეტელ დროში:

ნიმუში: –ჩვენ ბავშვების სამი ოთახი დავალაგეთ!

—ჩვენ ბავშვების სამ ოთახს ვალაგებდით!

1. მან თავის ოთხ შვილს შესანიშნავად მოუარა.

_____

2. ამ სტუდენტებმა სპორტული დარბაზი დაალაგეს.

_____

3. მისმა ძმამ ავსტრალიიდან დაგვირეკა.

_____

4. თინიკომ უმცროსი დის შარვალი და პერანგი გარეცხა.

_____

5. მმართველმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოძებნა.

_____

6. განთქმულმა ექიმებმა ავადმყოფის სიცოცხლისთვის საჭირო გზა იპოვეს.

_____

7. ჩვენ მოხუც კაცებთან საუბარს ვაფასებთ.

_____

8. ვინც ეძებს, ის ყოველთვის პოულობს!

_____

9. კაფეში ყავის ფულს სულ მარინა იხდის.

_____

10. სახლში ბებოსთან დღეში ცხრაჯერ ვრეკავ.

_____

სავარჯიშო 13.

ყველა წინადადების ქვეშ დაწერეთ ახალი წინადადება, რაც შესაძლებელია, მიახლოვებული წინა წინადადების მნიშვნელობასთან. გამოიყენეთ მოცემული სიტყვები:

ნიმუში: შარშან მე ინგლისში **არ ვიყავი**.
—არასოდეს— ვყოფილვარ ინგლისში.

1. ჩვენ ორი წლის წინ ესპანეთის საელჩოში ვმუშაობდით.
თქვენ თუ _____?
2. დედამ სადილი მოამზადა და მაგიდაც გააწყო.
დედას უკვე _____?
3. მე და ჩემი ოჯახი კასპიის ზღვაზე ვისვენებდით.
თქვენ ოდესმე _____?
4. ელზამ და მაიკომ ახალი სახლი იყიდეს.
ეს-ეს არის მათ _____?
5. მე ჩემს პერანგსა და შარვალს არ ვაუთოვებ.
მე არასდროს _____?
6. ეს მშვენიერი სურათია და ასეთი ლამაზი ვერსად ვნახე.
მე არასოდეს _____?
7. ახლა დრო არ მაქვს და სადილს ვერ ვჭამ.
მე ჯერ არ _____?
8. სად დავწერე და სად წავიკითხე ეს ყველაფერი!
მე კიდეც _____?

სავარჯიშო 14.

გაარკვიეთ და ჩასვით სწორად ხაზგასმული სიტყვა:

ნიმუში: –თქვენ ეს <u>საქმე</u> **ამ საქმეს** აფასებთ?

1. ბებო <u>პერანგი</u> _____ თბილი უთოთი აუთოვებს.
2. ჩვენ სკოლაში <u>ფული</u> _____ ვერ გადავიხადეთ.
3. დღეს არ შემიძლია, ხვალ გავრეცხავ ჩემს <u>კაბები</u> _____!
4. <u>დარბაზები</u> _____ ჯერ არ დაულაგებიათ! არ ვიცი, რას ფიქრობენ! მიღება უკვე ხვალაა!

5. გუშინ <u>ენ-მარი</u> _____ დაურეკავს და, სამწუხაროდ, მე სახლში არ ვიყავი.
6. მის <u>შვილიშვილები</u> _____ ეგონათ, რომ ის უზარმაზარი აგარაკი მათი იყო.
7. საქართველში 2008 წელს ოპოზიცია <u>ხმები</u> _____ აგროვებდა.
8. ბებიაჩემი ფიქრობს, რომ მოხუცების სახლში <u>მოხუცები</u> _____ კარგად არ უვლიან.
9. საქართველო თავისი ქვეყნის განთქმულ <u>შვილები</u> _____ ყოველთვის აფასებდა.
10. <u>ახალგაზრდები</u> _____ ღამე ცეკვა ყოველთვის მოსწონთ.

სავარჯიშო 15.

ჩაწერეთ სწორად:

ნიმუში: –ლაშას კალამი (→) **მიაქვს.**
–ლაშას და ლიკას ნინო ( ) **მოჰყავთ.**

1. ძიძას (←) ბავშვი ეზოდან _____.
2. ბებიას გასუფთავებული ლარნაკი სამზარეულოში (→) _____.
3. ნანას და მარიამს ბიბლიოთეკიდან ბევრი წიგნი ( ) _____.
4. მართალი ხალხი პრეზიდენტს პარლამენტისკენ ( ) _____.
5. სახლიდან ბიძაჩემსა და დეიდაჩემს ლტოლვილებისთვის ბევრი თბილი ტანსაცმელი (←) _____.
6. ეკას და ანდროს დაბადების დღეზე დათოსთვის საჩუქარი (←) _____.
7. პეტერბურგის მცხოვრებს ბავშვები გამოფენაზე (←) _____.
8. მენეჯერს თავისი ბანკისთვის ახალი ტელეფონები და მაგიდები (→) _____.
9. მუშას და მამაჩემს გასუფთავებული ელექტროქურა სამზარეულოში ( ) _____.
10. მათ რაიონის სკოლის ბავშვებისთვის კალმები ( ) _____.

სავარჯიშო 16.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:
ნიმუში: –დააფასეთ! **–შეიძლება, დავაფასოთ?**

1. –გარეცხეთ! _____
2. –დარეკეთ! _____
3. –მოძებნეთ! _____
4. –დაალაგეთ! _____
5. –იპოვეთ! _____
6. –მოუარეთ! _____
7. –გადაიხადეთ! _____
8. –გააუთოვეთ! _____
9. –შეაგროვეთ! _____
10. –გააკეთეთ! _____

სავარჯიშო 17.

დააბოლოვეთ სწორად:
ნიმუში: –ლაშას ფრანგული პარიზში უსწავლია.

№	სუბიექტი	ობიექტი	ზმნა
1.	უფროსებ—	პროექტ—	გაუკეთებიათ
2.	მგზავრ—	თევზ—	შეწვა
3.	მფრინავ—	შარვალ—	გააუთოვა
4.	სტუმრებ—	მუზეუმებ—	მოსწონდათ
5.	მმართველ—	შენობა—	მოძებნის
6.	მიმტან—	ხურდა—	უპოვია
7.	ბავშვებ—	წინდებ—	შეუგროვებიათ
8.	მშობლებ—	შვილ—	დააფასეს
9.	მაგდა—	ოჯახ—	მოუვლის
10.	მზარეულ—	თეფშებ—	გაურეცხავს

სავარჯიშო 18.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:
ნიმუში: –შეიძლება, გავაკეთო ეს საქმე?
—არ გააკეთო!—

1. –შეიძლება, გავრეცხო ეს სათამაშო?

_____

2. –მინდა შევაგროვო ბევრი წითელი კვერცხი!

_____

3. –ბოდიში, ვერ გავიგე, ჩვენ დავრეკოთ ბატონ ნიკასთან?

_____

4. –ერთი წუთით და მოვძებნით თქვენს კალამს.
_____, მეორე აქ მაქვს.
5. –ჩვენ დავხატავთ ამ ყვავილებს, ბუჩქებს და ხეებს!

_____

6. –უკაცრავად, შეიძლება გავაუთოვო ჩემი ქვედაბოლო?

_____

7. –სამწუხაროდ, გუშინ ვერ დავალაგე თქვენი ოთახი და ახლა შეიძლება დავალაგო?

_____

8. –პრობლემაა, რომ თქვენი ტელეფონიდან დავრეკო?

_____

9. –თუ გინდათ, მე შემიძლია ამ შაბათ-კვირას თქვენს ძაღლებს მოვუარო.

_____

10. ფული მაქვს და მე გადავიხდი თქვენს ანგარიშს.

_____

სავარჯიშო 19.

დააბოლოვეთ სწორად:
ნიმუში: ეს შესანიშნავი წიგნი **ლაშასგან** შენთვის მომაქვს ამსტერდამიდან!

1. გულიკოს **იერუსალიმი**——— ჩვენთვის სანთლები მოაქვს.
2. კენს **ინგლისი**——— ბევრი სუვენირი მოაქვს.
3. ეს სურათი ჩემი **მეგობარი**——— მაქვს სამახსოვროდ.
4. ის დოკუმენტები **სამინისტრო**——— არის.
5. მე დიდი სახლი მაქვს **მშობლები**———.
6. ეს ვარდები ჩვენი **მეზობელი**——— გვაქვს.
7. ბებო და დედა **სამზარეულო**——— აივანზე გავიდნენ.
8. ეს საჩუქარია ჩვენი **სტუდენტები**——— უნივერსიტეტისთვის.
9. ისინი ლტოლვილები არიან **აფხაზეთი**———.
10. ეს სადილია ჩემი **მშობლები** ——— ბებია-ბაბუასთვის.

სავარჯიშო 20.

ჩასვით სიტყვები სურვილის მიხედვით:

ნიმუში: –**ბავშვი დროს** არ აფასებს!

1. _____ _____ ეგონა.
2. _____ _____ დაულაგებია.
3. _____ _____ დაუფასებია.
4. _____ _____ დარეკეს.
5. _____ _____ შეეძლოთ.
6. _____ _____ მოუვლიან.
7. _____ _____ გარეცხოთ.
8. _____ _____ აგროვებდნენ.
9. _____ _____ უპოვიათ.
10. _____ _____ მოსწონდა.

სავარჯიშო 21.

დაწერეთ წინადადებები წყვეტელ დროში:

ნიმუში: –ბევრი ბავშვი ოთახს არ ალაგებდა!

—ბევრმა ბავშვმა ოთახი არ დაალაგა!

1. ის მთაში მრავალგვარ ყვავილს აგროვებს.

_____

2. უნივერსიტეტის ერთ სართულს ოთხი დამლაგებელი ალაგებს.

_____

3. მისი ძმიშვილი ჩიკაგოდან ბევრჯერ რეკავს.

_____

4. თეა ბავშვების სარეცხს დღეში ორჯერ რეცხავს.

_____

5. იმ სახლში თორმეტ შვილს უვლიან.

_____

6. დაფიქრებული ბიჭი ბაღში სიყვარულს იპოვის.

_____

7. ეს ახალგაზრდები ზღვაზე დასვენებას უფრო აფასებენ, ვიდრე მთაში.

_____

8. მარინა ყოველთვის ახალ და უკეთეს სამუშაოს ეძებს!

_____

9. ყურადღებიანი გოგოა და გადასახადსაც დროზე იხდის.

_____

10. ხშირად ურეკავს და დაუჯერებელ ამბებზე ლაპარაკობენ.

_____

სავარჯიშო 22.

დააბოლოვეთ სწორად:

ჩემი/ჩვენი; ჩემს/ჩვენს; შენი/თქვენი; შენს/თქვენს

ნიმუში: ჩემ-**ი-** სახლი
ჩემ-**ს-** სახლს
ჩემ-**ს-** სახლში
ჩემ-**ს-** სახლზე
ჩემ-**ს-** სახლთან

1. ჩემ— ტყავის ხელთათმანი...
2. თქვენ— დაპატარავებული ქვედაბოლო...
3. შენ— თეთრ მაცივარში...
4. ჩვენ— მომზადებულ პროექტზე...
5. თქვენ— გასუფთავებული ქუჩები...
6. შენ— ცარიელ საწერ მაგიდასთან...
7. ჩვენ— შეგროვებულ ტანსაცმელში...
8. ჩემ— ყურადღებიან თანამშრომელთან...
9. თქვენ— ახალ გაზქურაზე...
10. შენ— არაჩვეულებრივ კომოდთან...

სავარჯიშო 23.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: –ელექტროქურა მე უნდა ვიყიდო? **—იყიდე!—**

1. –ეს სარეცხი მე უნდა გავრეცხო? _____!
2. –ბავშვებმა გააუთოვონ პერანგები? _____!
3. –შეიძლება, დავრეკოთ სახლში? _____!
4. –გვინდა, შევაგროვოთ ყვავილები! _____!
5. –შეიძლება, თქვენს მანქანაში მოვძებნო ჩემი ჩანთა? _____!

6. –შეიძლება, ჩემმა ბიჭებმა თქვენს კატასა და ძაღლს მოუარონ? ——————————!
7. –მინდა შენთან ვიპოვო ჩემი ცხოვრების გზა,ჩემო კარგო! ——————————!
8. –მინდა დავაფასო თქვენი მუშაობა! ——————————!
9. –ანგარიშს ჩვენ გადავიხდით, კარგი? ——————————!
10. –მან უნდა დაალაგოს დღეს ოთახი? ——————————!

სავარჯიშო 24.

დაწერეთ წინადადებები მომავალ დროში:
ნიმუში: –თანამშრომელი მის საქმეს აფასებს!
–თანამშრომელი მის საქმეს **დააფასებს!**

1. ისინი ბაღის ბავშვებისთვის ძველ სათამაშოებს აგროვებდნენ.
_____
2. ახალი შენობა დამლაგებლებმა სამ დღეში დაალაგეს.
_____
3. ტყეში მგზავრებმა უზარმაზარი ხის სახლი იპოვეს.
_____
4. ლიკას შვილები მეგობრობას აფასებდნენ.
_____
5. ტურისტულმა სააგენტომ ერთ თვეში სამი ათასი ტურისტი მოძებნა.
_____
6. მან ვერტმფრენის კატასტროფის შემდეგ სამი გოგო მინდორში იპოვა.
_____
7. მათ ამ ამბის შემდეგ სასწრაფოდ დაურეკეს მშობლებს.
_____
8. დათომ თავისი წითელი ბურთი სამჯერ გარეცხა.
_____
9. ჩვენ ამ სააგენტოსთვის ფული ვერ გადავიხადეთ.
_____
10. ამ კერძო სკოლაში ბავშვებს მშვენივრად უვლიან.
_____

სავარჯიშო 25.

ჩასვით კითხვითი სიტყვები: რა, რით, ვინ, რას, ვის, როგორ, როგორი, რამდენი, რატომ, რამდენჯერ...
ნიმუში: – **როგორ** აფასებთ ამ მდგომარეობას?

1. დედა, ——————————აუთოვებთ ასე დიდხანს?
2. —————————— ამზადებს საქართველოში განთქმულ ხინკალს?
3. —————————— მოუარეს ტყეში პატარა ბავშვებს?
4. მამა, წელს —————————— იმგზავრეთ სტეფანწმინდისკენ?
5. —————————— არის ამ საზოგადოების ფუნქცია?
6. —————————— ვეძებთ ახალ სამუშაოს?
7. —————————— ტანსაცმელი იქნება საკმარისი?
8. —————————— ულაგებთ ამ გალამაზებულ ოთახს?
9. —————————— აქვს დღეს არაჩვეულებრივი საღამო?
10. —————————— შეთანხმდით?

სავარჯიშო 26.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:
ნიმუში: ხე – ხისგან; ტყავი – ტყავისგან;
ლიკა – ლიკასგან; ამერიკა – ამერიკიდან;

1. ეს ხელნაკეთი სამაჯური ჩემი და–– მაქვს.
2. საქართველო–– ბევრი სტუდენტი წავიდა და სწავლობს ამერიკაში.
3. თბილისში თეთრი ყურძენი კახეთი–– მოაქვთ.
4. წერილი მივიღეთ ჩვენი მშობლები––.
5. პატარა ბავშვისთვის ტანსაცმელს ბამბა–– ამზადებენ.
6. ეს საჩუქრები თოვლის პაპა–– მოდის ჩვენს სახლში!- – თქვა ნინომ.
7. ის სამაჯური ყვავილები–– დაამზადეს.
8. იაპონიაში პერანგებს აბრეშუმი–– ამზადებენ.
9. წითელ ღვინოს შავი ყურძენი–– ამზადებენ.
10. ქართველები ხაჭაპურს კარგი ყველი–– ამზადებენ.

სავარჯიშო 27.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: –ამ ბიჭს **კითხვა** არ მოსწონს?
–ეს ბიჭი არ **კითხულობს!**

1. ამ ბავშვებს თავიანთი ოთახის დალაგება არ უნდათ!
_____
2. ჩემი შარვლების რეცხვა არ მიყვარს.
_____
3. კაცის პერანგების გაუთოება არ მოსწონს.
_____
4. სასტუმროში ფულის გადახდა არ გვინდა.
_____
5. მურმანს დილას დარეკვა არ უყვარს.
_____
6. ნათიას და სოფოს მარკების შეგროვება არ მოსწონთ.
_____
7. ჩემს შვილს ძაღლთან ერთად სეირნობა მოსწონს, მაგრამ ძაღლის მოვლა არა.
_____
8. ახალგაზრდებს მოხუცების დაფასება არ მოსწონთ.
_____
9. მათ ახალი უნივერსიტეტის მოძებნა არ უნდათ.
_____
10. გიორგის სხვა რესტორნის პოვნა არ უნდა.
_____

სავარჯიშო 28.

ჩასვით სახელის ნაცვლად პირის ნაცვალსახელები:

ნიმუში: –ნინოს და ეკას **(—მათ—)** ეს ტახტი მოსწონთ!

1. პროფესორები და სტუდენტები (———) უნივერსიტეტს ერთად ალაგებენ.
2. ბებოს და ბაბუს (———) ჩემი დამოკლებული მწვანე კაბა მოსწონთ.
3. ნანას და ნატოს (———) ბავშვობა ერთად გაუტარებიათ.

4. მე და ჩემმა ქმარ-შვილმა (———) ზღვაზე ერთად დავისვენეთ და იქ კარგი ადგილები ვიპოვეთ.
5. ძიძამ (———) ავადმყოფ ბავშვებს კარგად მოუარა.
6. იმ ქალაქში მცხოვრები ადამიანები (———) ქართულად არ ლაპარაკობდნენ.
7. მან და მისმა გოგოებმა (———) სარეცხი ერთად გარეცხეს.
8. მეგობრები გაჭუჭყიანებულ წიგნებსა და წიგნების კარადას სამი დღე (———) ალაგებდნენ.
9. დაფიქრებულმა მოსამართლემ (———) არაფერი თქვა.
10. იმ ბრწყინვალე ქალბატონებს (———) ახალი მანქანები ჰყავთ.

სავარჯიშო 29.

დააბოლოვეთ:

ნიმუში: პატარა მეგობარი - **პატარა მეგობარს;**
შესანიშნავი მეგობარი - **შესანიშნავ⊗ მეგობარს:**

1. ყურადღებიანი ძიძა - _____
2. გატარებული დრო - _____
3. თანამედროვე საზოგადოება - _____
4. შასანიშნავი ოჯახი - _____
5. სასიამოვნო მიღება - _____
6. არაჩვეულებრივი საღამო - _____
7. ულამაზესი სტეფანწმინდა - _____
8. ბრწყინვალე ხალხი - _____
9. განთქმული თამადა - _____
10. ჭუჭყიანი სარეცხი - _____

სავარჯიშო 30.

ჩასვით:

ნიმუში: ის მე (calls) – **მირეკავს:**

	მე (irons)	_____
ის	მე (builds)	_____
	მე (კუფვთ)	_____

ის
მას (calls) _____
მათ (takes care) _____
მე (writes) _____
შენ (calls) _____
მას (irons) _____
მათ (tidies) _____

შენ
მე (take care) _____
მას (tidy) _____
ჩვენ (call) _____
მათ (wash) _____

მე
შენ (call) _____
მას (tidy) _____
თქვენ (takes care) _____
მათ (wash) _____

სავარჯიშო 31.

აღნიშნეთ, რომელია სწორი ფორმა:
ნიმუში: ისინი არჩევნებისთვის ხალხს ——ა——!
ა. აგროვებდნენ ბ. შეუგროვებიათ გ. შეაგროვეს

1. ირინას თეთრი ტყავის სავარძლები ——.
   ა. იყიდა ბ. იყიდის გ. უყიდია
2. ცოლი იმ კაცს ძალიან ——.
   ა. დაუფასებია ბ. დააფასებს გ. აფასებდა
3. მსახიობებმა თეატრის წინ ხალხი ——.
   ა. აგროვებენ ბ. შეაგროვებენ გ. შეაგროვეს
4. საელჩოს იმ კომპანიისთვის წიგნების ფული ——.
   ა. იხდიდა ბ. გადაიხადა გ. გადაუხდია
5. მან დიდი ხნის უნახავი მეგობარი ——.
   ა. უპოვნია ბ. იპოვის გ. იპოვა
6. სამი დღეა წავიდნენ სახლიდან და ჯერ არ ——.
   ა. დარეკონ ბ. დაურეკავთ გ. რეკავდნენ
7. ნინო ჩანთაში მანქანის გასაღებს ორი საათი ——.
   ა. ეძებდა ბ. მოძებნა გ. უძებნია
8. ჩემი მეზობელი მის ახალ მანქანას წვიმაშიც ——.
   ა. გაურეცხავს ბ. გარეცხა გ. რეცხავს

9. ისინი ოთახის ყვავილებს ზამთარშიც ——.
   ა. მოუვლიათ ბ. უვლიდნენ გ. მოუარეს
10. დედას ჩემთვის ყველა პერანგი ——.
   ა. გაუუთოვებია ბ. აუთოვებდა გ. გააუთოვა

სავარჯიშო 32.

ჩასვით სწორად:
ნიმუში:
- **ჩემს სახლს/სახლში/სახლზე/ სახლთან/სახლს შორის**
- **ჩემი სახლის პირდაპირ/გვერდით/ქვეშ/ზევით/მარჯვნივ/მარცხნივ/გამო/მიხედვით/ნაცვლად/გარდა/მაგივრად/შესახებ**
- **ჩემ⊗, შენ⊗, ჩვენ⊗, თქვენ⊗ პირდაპირ/გვერდით/ქვეშ/ზევით/მარჯვნივ/მარცხნივ/გამო/ ნაცვლად/გარდა/მაგივრად/შესახებ**

1. ჩემ— სკამს პატარა ადგილი სჭირდება.
2. თქვენ— გვერდით ჩვენი ბანკია!
3. შენ— მარჯვნივ ხვალ ოფისში კომპიუტერი იქნება.
4. ჩვენ— სადარბაზოსთან ნაცრისფერი კატა ცხოვრობს.
5. თქვენ— და ჩემ— შორის ოთხი წელია. თქვენ უფროსი ხართ!
6. შენ— კარადაში პოეზიის წიგნები ვიპოვე. გიყვარს პოეზია?
7. ჩვენ— ზევით ალადაშვილები ცხოვრობდნენ!
8. ჩემ— მაცივარზე ლამაზი მწვანე ლარნაკია მრავალგვარი ყვავილით.
9. თქვენ— საწერი მაგიდის ქვეშ ჩემი ჩანთაა. რატომ?
10. შენ— საწოლთან ვიპოვე ეს ბეჭედი, შენია?

სავარჯიშო 33.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:
ნიმუში: –მე მას იუბილეს **ვულოცავ!**
–ის მე იუბილეს **მილოცავს?**

1. მე მას კარადას ვულაგებ.
   ის მე კარადას _____?

2. მე მას პერანგს ვ**უ**რეცხავ.
   ის მე პერანგს _____?
3. მე დედას ვ**უ**რეკავ.
   ის მე _____?
4. მე მას დავალებას ვ**უ**ფასებ.
   ის მე დავალებას _____?
5. მე ძმას შარვალს ვ**უ**უთოვებ.
   ის მე შარვალს _____?

ნიმუში: –მე ძმისთვის პერანგს **ვ<u>ა</u>უთოვებ!**
–ის მე პერანგს **მ<u>ი</u>უთოვებს?**

6. მე ქმრისთვის სადილს ვ<u>ა</u>მზადებ.
   ის მე სადილს _____?
7. მე თანამშრომლებისთვის საქმეს ვ<u>ა</u>კეთებ.
   ისინი მე _____?
8. მე ვერცხლის სამაჯურებს დისთვის ვ<u>ა</u>გროვებ.
   ის მე სამაჯურებს _____?
9. მე სტუდენტებისთვის სავარჯიშოებს ვ<u>ა</u>კეთებ.
   ისინი მე _____?
10. მე შვილისთვის აგარაკს ვ<u>ა</u>შენებ.
    ის მე აგარაკს _____?

სავარჯიშო 34.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:
ნიმუში: მინდა ეს საქმე მან (კეთება) **გააკეთოს!**

1. გვინდა ეს სამუშაო მათ (დაფასება) _____
2. მინდა ტყეში სოკო მან (შეგროვება) _____
3. უნდა მთელი სახლი მე (დალაგება) _____
4. გინდა გადასახადები მან (გადახდა) _____
5. უნდათ ქალაქისკენ გზა ჩვენ (პოვნა) _____
6. თქვენ გინდათ ავსტრალიაში (რეკვა) _____?
7. გვინდა ეს ქვედაბოლო შენ (გაუთოვება) _____
8. მინდა ამ თეთრ ძაღლს მე (მოვლა) _____
9. უნდა მთელი სარეცხი ჩვენ (რეცხვა) _____
10. გინდა შენი წიგნები მათ (მოძებნა) _____?

სავარჯიშო 35.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:
ნიმუში: მე მიღებაზე მივდივარ, **მაიაც** მოდის!
ლიკას ახალი ჭაღი აქვს, **მაიასაც!**
ნიამ ინგლისური ისწავლა, **მაიამაც!**

1. ჩვენ გვინდა თანამედროვე კლუბში წავიდეთ, ლევან——— უნდა.
2. შევაგროვეთ ათი ნაირ-ნაირი ყვავილი, ბავშვებ———.
3. ჩვენს ახალ სახლში ვიყავით, ნათესავებ———იყვნენ.
4. ქეითი ყურადღებიანი ქალია, კორინა———და სოფი———.
5. სალომე ახალ სამსახურს ეძებს თეატრში, ნინუცა———.
6. მე თამრიკოსთან დავრეკე ამერიკაში, ეთერ———.
7. ჩვენ ის განთქმული ბარი გვინდა მოვძებნოთ, დათო———.
8. დამლაგებელი ზამთრის ტანსაცმელს ალაგებს, ნია———.
9. თეკლამ სარეცხი გარეცხა და გააუთოვა, ხათუნა———.
10. მას მუქი ფერის ავეჯი მოსწონს, ოლივერ———და ეკა———.

სავარჯიშო 36.

დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:
ნიმუში: <u>**თარხანი**</u> - მე **თარხანს** მოვუმზადე.
მე **თარხანისთვის** მომიმზადებია.

1. მას აბრეშუმის პერანგი <u>გიორგი</u>—— გაუუთოვებია.
2. სამსახურიდან მათ <u>ვახტანგი</u>—— არ დაურეკავთ.
3. ბანკს <u>არჩილი</u>—— პროცენტი არ გადაუხდია.
4. თანამშრომლებს ბატონი <u>დენისი</u>—— ქართული ტრადიციული სუვენირები შეუგროვებიათ.
5. ლევანმა ბავშვობის მეგობრის შვილი—— სწავლის ორი წლის ფული გადაუხადა.
6. კულტურის მინისტრს <u>თეო</u>—— სამუშაო მოუძებნია.
7. მარინას ჭუჭყიანი ჩექმა <u>ნიტა</u>—— გაურეცხავს.
8. ახალგაზრდებმა მოხუც <u>იოანე</u>—— მოუარეს.
9. მშობლებს არაჩვეულებრივი აგარაკი <u>თეა</u>—— უყიდიათ.
10. მასწავლებელმა <u>თამრიკო</u>—— მუშაობა დაუფასა.